KINGS · ქართული ენის ოლიმპიადა

ტესტების მიმოხილვა

VIII კლასი · 2026 წლის შემოდგომა

I უფასო ტური · 8 ნოემბერი

ტესტის სტრუქტურა

#	სავარჯიშო	შეკითხვა	ქულა
I	სიტყვათა გრამატიკული კლასები (მეტყველების ნაწილები)	5	10
II	არსებითი სახელი და მისი ბრუნება	5	10
III	ზედსართავი სახელი	5	10
IV	რიცხვითი სახელი	5	15
V	ნაცვალსახელი	5	15
VI	ტექსტის გააზრება	10	40
+	ბონუს სექცია	5	+25
	სულ	**35 + 5**	**100 + 25**

ტესტის შესახებ

VIII კლასის ტესტი შედგება **6 სავარჯიშოსა** და **ბონუს სექციისგან**. ძირითადი ნაწილი შეიცავს **35 შეკითხვას** და ფასდება **100 ქულით**, ბონუს სექცია კი **5 შეკითხვას** (დამატებით **25 ქულა**). ყველა შეკითხვა დახურული ტიპისაა: სამი სავარაუდო პასუხიდან (ა, ბ, გ) სწორია **მხოლოდ ერთი**. ტესტი ამოწმებს მორფოლოგიის (მეტყველების ნაწილების) ცოდნას, ბოლო სავარჯიშოში კი - ისტორიული ტექსტის გააზრებას.

სავარჯიშოები

I. სიტყვათა გრამატიკული კლასები (მეტყველების ნაწილები)

შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ **5 შეკითხვა · 2 ქულა თითოეულზე · სულ 10 ქულა**

სიტყვათა გრამატიკული კლასები: მეტყველების ნაწილები, ფორმაცვალებადი და დამხმარე მეტყველების ნაწილები.

მაგალითი

რომელი მეტყველების ნაწილია სიტყვა „თუმცა“? **ა) კავშირი** **ბ)** ნაწილაკი **გ)** ზმნიზედა

სწორი პასუხი: ა) კავშირი → „თუმცა“ წინადადებებს აკავშირებს - ეს დამხმარე მეტყველების ნაწილია, კავშირი.

II. არსებითი სახელი და მისი ბრუნება

შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ **5 შეკითხვა · 2 ქულა თითოეულზე · სულ 10 ქულა**

არსებითი სახელი და მისი ბრუნება: ბრუნვების რაოდენობა, ბრუნვის ნიშნები, ფორმის ბრუნვის ამოცნობა.

მაგალითი

რომელ ბრუნვაშია სიტყვა „მეგობარო“? **ა) წოდებითში** **ბ)** ვითარებითში **გ)** მიცემითში

სწორი პასუხი: ა) წოდებითში → „-ო“ წოდებითი ბრუნვის ნიშანია; ამ ფორმით მივმართავთ ვინმეს: „მეგობარო!“

III. ზედსართავი სახელი

შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ **5 შეკითხვა · 2 ქულა თითოეულზე · სულ 10 ქულა**

ზედსართავი სახელი: ხარისხის ფორმები, მსაზღვრელ-საზღვრულის შეთანხმება და ზედსართავის კითხვები.

მაგალითი

რომელია ოდნაობითი ხარისხის ფორმა? **ა) მოწითალო** **ბ)** უწითლესი **გ)** წითელი

სწორი პასუხი: ა) მოწითალო → ოდნაობითი ხარისხი ნიშნის ნაკლებობას გამოხატავს და „მო- -ო“ აფიქსებით იწარმოება.

IV. რიცხვითი სახელი

შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ **5 შეკითხვა · 3 ქულა თითოეულზე · სულ 15 ქულა**

რიცხვითი სახელი: სახეები (რაოდენობითი, რიგობითი, წილობითი), წარმოება და მართლწერა.

მაგალითი

რომელ წინადადებაშია რიგობითი რიცხვითი სახელი?

ა) მესამე სართულზე ვცხოვრობთ.

ბ) სამი წიგნი ვიყიდე.

გ) ნახევარი ვაშლი შევჭამე.

სწორი პასუხი: ა) მესამე სართულზე ვცხოვრობთ. → „მესამე“ რიგს აღნიშნავს და „მე- -ე“ აფიქსებითაა ნაწარმოები.

V. ნაცვალსახელი

შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ **5 შეკითხვა · 3 ქულა თითოეულზე · სულ 15 ქულა**

ნაცვალსახელი: ძირითადი ფუნქცია და ჯგუფები - პირის, ჩვენებითი, კუთვნილებითი, უარყოფითი.

მაგალითი

რომელ ჯგუფს მიეკუთვნება ნაცვალსახელი „ვინმე“? **ა) განუსაზღვრელობითს** **ბ)** უარყოფითს **გ)** კითხვითს

სწორი პასუხი: ა) განუსაზღვრელობითს → „ვინმე“, „რამე“, „ვიღაც“ განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელებია - კონკრეტულ პირს ან საგანს არ ასახელებენ.

VI. ტექსტის გააზრება

შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ **10 შეკითხვა · 4 ქულა თითოეულზე · სულ 40 ქულა**

მოცემულია ვრცელი ისტორიული ტექსტი მიქელ-გობრონზე. შეკითხვები ამოწმებს დეტალების ცოდნას, მოქმედების მიზეზებსა და ღირებულებების შედარებას.

მაგალითი

> *1106 წელს დავით აღმაშენებელმა გელათის მონასტერი და აკადემია დააარსა. მემატიანე მას „მეორე იერუსალიმსა“ და „ახალ ათენს“ უწოდებდა, ხადგან აქ ღვთისმეტყველებასთან ერთად ფილოსოფიას, მათემატიკასა და ასტრონომიასაც სწავლობდნენ.*

რატომ უწოდებდნენ გელათს „ახალ ათენს“?

ა) ქალაქ ათენთან ახლოს მდებარეობდა

ბ) აქ მრავალ მეცნიერებას სწავლობდნენ, როგორც ძველ ათენში

გ) ბერძენმა ოსტატებმა ააშენეს

სწორი პასუხი: ბ) აქ მრავალ მეცნიერებას სწავლობდნენ, როგორც ძველ ათენში → ტექსტის თანახმად, გელათში ფილოსოფიას, მათემატიკასა და ასტრონომიასაც სწავლობდნენ - ძველი ათენის მსგავსად.

ბონუს სექცია

ძირითადი ტესტის შემდეგ მოცემულია ბონუს სექცია: **5 შეკითხვა**, თითოეული 5 ქულა, ჯამში **25 ქულა**. შეკითხვები ზოგადია და ეხება ლექსიკას, ანდაზებს, გამოცანებსა და ფრაზეოლოგიზმებს. ბონუს ქულებით მოსწავლეს შეუძლია ტესტში დაშვებული **შეცდომები აანაზღაუროს**.

ქართული ენის ოლიმპიადის I უფასო ტური გაიმართება 8 ნოემბერს. გელოდებით!